



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. IWMF-ის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის
2. ფონდ Resilience-ის სტიპენდია
3. Rockefeller Bellagio Residency პროგრამა
4. ანალიტიკური ესსეების კონკურსი
5. პრალის მედია სკოლის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის სოც. ქსელის ვიდეოების შესაქმნელად
6. ადამიანის უფლებების თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი
7. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი
8. დოკუმენტური ფოტოგრაფიის კონკურსი
9. World Nomads-ის სამოგზაურო გრანტები
10. კონკურსი ქართული მედიასაშუალებებისთვის
11. Open Media Hub-ის საგრანტო კონკურსი ვიდეო მასალების შესაქმნელად
12. სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის ჰარვარდში
13. ჯონ ჰაითის სტიპენდია სენფორდის უნივერსიტეტში
14. ნიუ-იორკის სასტიპენდიო პროგრამა ბიზნეს ჟურნალისტიკის მიმართულებით
15. National Geographic-ის გრანტი
16. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის
17. გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის
18. მედიაინიციებების ინიციატივა

1. IWMF-ის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ქალთა საერთაშორისო ფონდი ორგანიზებას უწევს 5 წლიან ინიციატივას Adelante, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს ქალ ჟურნალისტებს ლათინური ამერიკიდან, იმისათვის რომ მათი ხმა უკეთ ისმოდეს, დაეხმაროს მათ კარიერულ ზრდაში, ხელი შეუწყოს მათი საქმიანობის უსაფრთხოებას. ამ სტიპენდიისთვის მიიღება ერთობლივი განაცხადებიც. მონაწილეობა შეუძლია კონკურსანტს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, თუმცა პირობის თანახმად, აუცილებელია წყვილის ერთი მონაწილე იყოს ლათინური ამერიკიდან. სავალდებულოა ჟურნალისტად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

პროგრამის მომდევნო ეტაპი გაიმართება 2-17 მარტს. IWMF მონაწილეებს უნაზღაურებს ყველა ხარჯს. მათ შორის: გზის, საცხოვრებლის, კვების, დამხმარის მუშაობის, თარჯიმნის.

დანვრილებით: <https://bit.ly/36Hpiuw>

განაცხადის მიღების ვადა: 12 ნოემბერი 2019 წ.

2. ფონდ Resilience-ის სტიპენდია

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ფონდი Resilience, რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გლობალურ ინიციატივას, იღებს განაცხადებს ახალ სტიპენდიებზე.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს და სხვა მოქალაქეებს, რომელთა ცხოვრებაზეც გავლენას ახდენს ორგანიზებული დანაშაული.

პროგრამის მიზანია, შეიქმნას საერთო პლატფორმა, რომელზეც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების გაერთიანებას შეძლებენ ჟურნალისტები, სამოქალაქო ორგანიზაციები და სხვა აქტივისტები. სტიპენდიის ზომა - 15 000 დოლარი. სტიპენდიანტებს ასევე გაუწევენ კონსულტაციებს და ექნებათ პროფესიული კონტაქტების დამყარების საშუალება.

განაცხადს თან უნდა ახლდეს პროექტის აღწერილობა. პროექტს უნდა ჰქონდეს კავშირი მიმდინარე წლის თემასთან- „დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან, ადამიანების გაუჩინარება“.

პროგრამის მონაწილეები თავისუფლად უნდა ფლობდნენ სამიდან ერთ-ერთ ენას: ინგლისური, ფრანგული ან ესპანური.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Npscfl>

განაცხადის მიღების ვადა: 15 ნოემბერი 2019 წ.

3. Rockefeller Bellagio Residency პროგრამა

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

როკფელერის ფონდი იწვევს მკვლევარებს, რომლებიც მუშაობენ შემდეგ თემებზე: ჯანდაცვა, ეკონომიკური შესაძლებლობები, ცხოვრება ქალაქებში, სურსათი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერჯია, ქველმოქმედება და ინოვაციები განვითარების მიზნით.

Bellagio Residency-ის პროგრამა, ყველა მონაწილეს სთავაზობს გაიფართოვოს პროფესიული წრე და შეიტანოს საკუთარი წვლილი გლობალური პრობლემების მოგვარებაში.

როგორც წესი, პროგრამა გრძელდება 4 კვირა, თუმცა პრეტენდენტებს შეუძლიათ განაცხადები უფრო ხანმოკლე პროგრამებზე შეიტანონ.

პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრებლის და კვების ხარჯების დაფარვას, ავია ბილეთები მონაწილეებმა თავად უნდა დაიფინანსონ. თუმცა ფონდს ასევე გააჩნია შებლუდული ოდენობის სტიპენდიები გზის ხარჯების დასაფარადაც.

დანვრილებით: <https://bit.ly/32oCuAU>

განაცხადის მიღების ვადა: 15 ნოემბერი 2019 წ.

4. ანალიტიკური ესსეების კონკურსი

გეოგრაფია- საქართველო

გაეროს განვითარების პროგრამა საქარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში აცხადებს ანალიტიკური ნაშრომების კონკურსს, თემაზე „ მონაცემები უკეთესი მმართველობისთვის“.

კონკურსის მიზანს წარმოადგენს: რეფორმის მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნებული შუალედურ კვლევაზე დაყრდნობით ანალიტიკური სტატიების მომზადების სტიმულირება.

დანვრილებით: <https://bit.ly/2NZCG4C>

განაცხადის მიღების ვადა: 15 ნოემბერი 2019 წ.

5. პრალის მედია სკოლის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის სოც. ქსელის ვიდეოების შესაქმნელად

გეოგრაფია: აღმოსავლეთ ევროპა

პრალის მედიასკოლა <http://pragueschool.media/> ორგანიზებას უწევს ვიდეოს შექმნის ტრენინგს, რომელიც გაიმართება თბილისში 2-5 დეკემბერს.

ტრენინგში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, დიზაინერებს, პროდიუსერებს, მენეჯერებს და სხვა ვიდეოს შექმნით დაინტერესებულ პირებს. ოთხდღიანი კურსი მოიცავს ტრენინგებთან მუშაობას, იდეების ფიჩინგს და გუნდურ მუშაობას. მონაწილეები შექმნიან ვიდეოებს სოციალური ქსელებისა და ვებ გვერდებისთვის. პროგრამა წარიმართება რუსულ ენაზე.

კურსის ღირებულებაა – 500 ევრო. თანხა მოიცავს ონლაინ მოდულს, რომელიც თბილისში ჩამოსვლამდე და წასვლის შემდეგ შედგება.

კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია 700 ევროს ოდენობის სტიპენდიის მიღება, რაც განკუთვნილია კურსის დაფინანსებისა და გზის ხარჯების დაფარვისათვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/2pLhwP9>

განაცხადების მიღების ვადა: 15 ნოემბერი 2019 წელი

6. ადამიანის უფლებების თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

2020 წლის 20-29 მარტს კიევში გაიმართება ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური კინოს ფესტივალი Docudays UA. ფესტივალი ორგანიზებულია უკრაინა-ჰელსინკის გაერთიანებით <http://helsinki.org.ua/en/>.

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დოკუმენტური კინოს ავტორებს, რომლებიც ადამიანის უფლებებზე მუშაობენ.

საკონკურსო პროგრამა გაყოფილია სამ ნაწილად, ორი საერთაშორისო კატეგორია: DOCU/WORLD – 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის ფილმებისთვის, DOCU/SHORT (30 წუთამდე ფილმები) და ნაციონალური კონკურსი Docu/უკრაინა. ამ კატეგორიებში გამარჯვებულები მიიღებენ პრიზის სახით 1 000 ამერიკულ დოლარს.

ასევე გაიცემა ანდრეი მატროსოვის ჟიურის სპეციალური პრიზი და მაყურებლის პრიზი 1000 დოლარის ოდენობით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2NDuKrl>

განაცხადების მიღების ვადა: 20 ნოემბერი, ფინალური 10 დეკემბერი

7. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსზე საკუთარი ინოვაციური პროექტების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ბლოგერებს და მწერლებს.

ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლია

<https://www.bournemouth.ac.uk/about/our-faculties/faculty-media-communication> იღებს განაცხადებს კონკურსზე New Media Writing Prize (NMWP).

კონკურსზე მიიღება ინოვაციური და ინტერაქტიული სტორიული ნაშრომები (როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური), შექმნილი სპეციალურად პერსონალური კომპიუტერებისთვის ან მობილური მონაცემებისთვის.

კონკურსის მთავარი გამარჯვებული მიიღებს 1 000 ფუნტ სტერლინგს. სტუდენტური კატეგორიის გამარჯვებული მიიღებს 750 ფუნტ სტერლინგს Unicorn Training-საგან. ასევე იქნება გადაცემული პრემიები Gorkana Journalism Award – 750 ფუნტი სტერლინგის ოდენობით და პრიზი პლატფორმა Genarrator-ის ი გამოყენებისათვის 500 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

დანვრილებით: <https://bit.ly/1Vax4Qy>

განაცხადების მიღების ვადა: 22 ნოემბერი 2019 წ. (სტუდენტური კატეგორია – 13 დეკემბერი 2019 წ.). **განაცხადების მიღების ვადა:** 15 ნოემბერი 2019 წელი

8. დოკუმენტური ფოტოგრაფიის კონკურსი

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ფოტოდოკუმენტალისტების პრემია IAFOR, იწვევს საერთაშორისო აკადემიურ ფორუმზე მონაწილეებს (International Academic Forum <https://iafor.org/>) . კონკურსის თემა - „მომავლის დაბრუნება“ .

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ დამწყებ ფოტოჟურნალისტებს და ფოტოდოკუმენტალისტებს, 30 წლამდე. მონაწილეობა ასევე შეუძლიათ უფროს კონკურსანტებს, რომლებიც ახლა გადიან სწავლებას.

ფოტოები უნდა იყოს გადაღებული 2018-2019 წლებში.

პირველ ადგილზე გასული მონაწილე მიიღებს ჯილდოს სახით 1000 ფუნტს, კონფერენციაში IAFOR მონაწილეობის სტიპენდიას და სხვა პრიზებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2WO550M>

განაცხადის მიღების ვადა: 25 ნოემბერი 2019 წ.

9. World Nomads-ის სამოგზაურო გრანტები

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ორგანიზაცია World Nomads <https://www.worldnomads.com/> სამგზაურო გრანტების მისაღებად აცხადებს კონკურსს ფოტოგრაფებისთვის

განაცხადის წარდგენა შეუძლიათ დამწყებ ფოტოგრაფებს.

გამარჯვებული გაატარებს ათ დღეს მონდოლეტში და გამოცდილი ფოტოგრაფის რიჩარდ ლენსონის ხელმძღვანელობით გადაიღებს ქვეყნის კულტურას, ადამიანებს და პეიზაჟებს. გამგზავრება დაგეგმილია 2020 წლის ივლისის დასაწყისისთვის.

კანდიდატები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას.

კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ 5 ფოტოსაგან შემდგარი ფოტოესსე, რომელიც ასახავს პრეტენდენტის წინამორბედ მოგზაურობას.

დანვრილებით: <https://bit.ly/2roesJF>

განაცხადის მიღების ვადა: 27 ნოემბერი 2019 წ.

10. კონკურსი ქართული მედიასაშუალებებისთვის

გეოგრაფია- საქართველო

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), აცხადებს მედია კონკურსს „ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“.

ყოველწლიური კონკურსი CSRDG-მ, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, ერთი წლის წინ დააფუძნა.

კონკურსის მიზანია, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) აქტიური და სწორი გაშუქების ხელშეწყობა და ამ გზით CSR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მხრიდან კონცეფციის სწორი აღქმის დამკვიდრება.

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე, გამოქვეყნებული/გასული უნდა იყოს 2019 წლის 6 მაისიდან, 30 ნოემბრამდე პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულ მედია საშუალებაში ან ბლოგის მეშვეობით. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი პრიზი.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Nob75S>

განაცხადის მიღების ვადა: 30 ნოემბერი 2019 წ.

11. Open Media Hub-ის საგრანტო კონკურსი ვიდეო მასალების შესაქმნელად

გეოგრაფია - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

Open Media Hub იწყებს საგრანტო პროგრამას სოციალური ქსელებისთვის ვიდეოების შესაქმნელად. „ახალგაზრდა აქტივისტები-როცა ხარ 20-ის“ - საზოგადოებას უნდა აცნობდეს ახალგაზრდა აქტივისტებს, რომლებიც საკუთარი ქმედებით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს.

განაცხადის შეტანა შეუძლიათ ონლაინ, სატელევიზიო და რადიო მედია პლატფორმებს, რომლებიც აწარმოებენ ვიდეო კონტენტს და არიან შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია თემაზე

მაქსიმალური ბიუჯეტია:

- 90-წამიანი ვიდეო – 600 ევრომდე
- 90-წამიანი ვიდეო და HDTV-ვერსია ტრანსლირებისთვის – 1000 ევრომდე

დანვრილებით: <https://bit.ly/2NPPLx3>

განაცხადის მიღების ვადა: 1 დეკემბერი 2019 წ.

12. სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის ჰარვარდში

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ნიმანის ფონდი და ინტერნეტის განვითარების ბერკმანის ცენტრი <http://cyber.law.harvard.edu/> სთავაზობს სტაჟირებას მინიმუმ ერთ ჟურნალისტს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში განახორციელებს კვლევას ჟურნალისტიკაში ინოვაციის სფეროში.

ჰარვარდის უნივერსიტეტში სტიპენდიის მისაღებად, განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მედია ორგანიზაციების ჟურნალისტებს, რომელთა მუშაობა დაკავშირებულია ბიზნესთან, ინოვაციებთან და ლიდერობასთან.

კანდიდატებმა უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც მედიის ციფრულ ფორმატში გადასვლას ეხება. ასეთი პროექტების მაგალითად შეიძლება მოყვანილი იყოს, ჟურნალისტებისთვის ახალი დაფინანსების წყაროების მოძიება; ჟურნალისტებისთვის ახალი ხელსაწყოების შექმნა ან სიახლეების მიღების ახალი მოდელების კვლევა.

სტიპენდიის გარდა, პროგრამაში შედის, საცხოვრებლის დაფინანსება, ბავშვის მოვლა და სამედიცინო დაზღვევა.

დანვრილებით: <https://bit.ly/36EFtsm>

განაცხადის მიღების ვადა: 1 დეკემბერი 2019 წ.

13. ჯონ ნაითის სტიპენდია სტენფორდის უნივერსიტეტში

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ერთ წელზე გათვლილი ჯონ ნაითის სტიპენდია, გამოცდილ ჟურნალისტებს სთავაზობს აწარმოონ თავიანთი კვლევები სტენფორდის უნივერსიტეტში <http://www.stanford.edu/>.

სტიპენდია ჟურნალისტებს საშუალებას მისცემთ, კოლეგებთან ერთად იმუშავონ იმ პროექტებზე, რომლებიც თანამედროვე ჟურნალისტიკაში ყველაზე მწვავე გამოწვევებს ეხება.

მინიმუმ 20 სტიპენდიანტი მიიღებს საშუალებას დაამყარონ ურთიერთობა მოწინავე და ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანებთან და ორგანიზაციებთან. ისინი ასევე მიიღებენ სტიპენდიას 85 000 დოლარის ოდენობით, დაუფარავენ სწავლის და სამედიცინო დაზღვევის გადასახადს, საჭიროების შემთხვევაში დაუფინანსდებათ ბავშვის მოვლაც. საერთო ჯამში მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას 95 000-დან 145 000 დოლარამდე.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

დანვრილებით: <https://stanford.io/33Al9Wd>

განაცხადის მიღების ვადა: 1 დეკემბერი 2019 წ.

14. ნიუ-იორკის სასტიპენდიო პროგრამა ბიზნეს ჟურნალისტიკის მიმართულებით

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

საქმიანი ჟურნალისტიკის ცენტრი McGraw და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის CUNY-ის ჟურნალისტიკის სკოლა <https://www.journalism.cuny.edu/> ჟურნალისტებს, რომლებიც სპეციალიზირდებიან ბიზნესის და გლობალური ეკონომიკის თემებზე, სთავაზობს სასტიპენდიო პროგრამას.

სტიპენდია გათვლილია 1-დან 3 თვემდე და შეადგენს თვეში 5000 ამერიკულ დოლარს. სასტიპენდიო პროგრამა უზრუნველყოფს ფინანსურთან ერთად სარედაქციო მხარდაჭერას, შრომატევად და რთულ თემებზე მუშაობისას. პრეტენდენტებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Np75tL>

განაცხადის მიღების ვადა: 10 იანვარი 2020 წ.

15. National Geographic-ის გრანტი

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

National Geographic აცხადებს განაცხადების მიღებას შემდეგ საგრანტო მიმართულებაზე-Exploration Grant. შესაძლო პროექტები მოიცავს: ფოტოგრაფიას, ფილმზე მუშაობას, კარტოგრაფიას და ჟურნალისტიკას. პროექტების თემები უნდა შეეხებოდეს სამთაგან ერთ-ერთ მიმართულებას: ველური ბუნება, ცვალებადი პლანეტა და მოგზაურობა.

შერჩეული პროექტები მიიღებენ გრანტებს 10 000-დან 30 000 დოლარამდე ოდენობით. განმცხადებლებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ აქვთ მსგავსი პროექტების წარმატებით განხორციელების გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/34lpgAr>

განაცხადის მიღების ვადა: 15 იანვარი 2020 წ 11:59 EST (U.S.).

16. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

Eyebeam Center for the Future of Journalism Craig Newmark Philanthropies მხარდაჭერით, გთავაზობთ 500-დან 5000 დოლარამდე გრანტებს, ჟურნალისტების და მხატვრების ერთობლივი ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ, მხატვრებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუშაობენ ინოვაციურ და მამხილებელ ჟურნალისტურ პროექტებზე. საგრანტო პროექტები, შეიძლება იყოს გათვლილი ხანგრძლივ პერიოდზე და შეიცავდეს ფოტო, აუდიო, ვიდეო და ტექსტუალურ მასალებს. შესაძლო თემები: მონაცემთან კონფიდენციალურობა, 2018-2020 წლის არჩევნები, ტექნოლოგიების როლი, პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებელი კამპანიები, კვლევა თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგიების საზოგადოების საზიანოდ, ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაციასთან ბრძოლა. განაცხადები მიიღებ ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/2GU68Gz>

17. გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის

გეოგრაფია - ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა

Reporting Democracy გთავაზობთ გრანტებს სტატიებისა და გამოძიებისათვის, რომლებიც ეხება ბალკანეთის ქვეყნების და ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში დემოკრატიის საკითხებს. შეთავაზებულია გრანტების ორი სახე:

- გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის, ლონგრიდების, გამოძიების ან ანალიტიკური სტატიებისთვის (ტექსტის მოცულობა დაახლოებით 1 500 სიტყვა);
- გრანტები ცალკეული ჟურნალისტების ან ტრანსასაზღვრო პროექტებისთვის, მათ შორის სტატიებისა და გამოძიებისთვის (ტექსტის მოცულობა დაახლოებით 2 500 სიტყვა).

განაცხადი მიიღება ინგლისურ ენაზე. დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია პროექტზე.

Reporting Democracy იმართება ბალკანეთის გამომძიებელ ჟურნალისტთა ქსელის, არაკომერციული ქსელის, მეშვეობით, რომელიც პროპაგანდას უწევს სიტყვის თავისუფლებას, ადმიანის უფლებებს და დემოკრატიულ ღირებულებებს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე ამ ფარგლებს მიღმა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Xi89S7>

18. მედიანინგნიერების ინიციატივა

მედიის განვითარების ბალტიის ცენტრის მედიანინგნიერების ინიციატივა - Pilna Doma

კრიტიკული აზროვნების და მედიანინგნიერების გაზრდის მიზნით, უკვე მესამე წლია მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი ახორციელებს პროექტს ახალგაზრდებისთვის. 3 ტესტი/თამაში, ვიდეო და სხვა მასალები თარგმნილი რუსულ ენაზე, **ხელმისაწვდომია აქ** - <https://bit.ly/3328YBO>. პროექტის მხარდამჭერია ბრიტანეთის საბჭო და ამერიკის საელჩო

© **Baltic Centre for Media Excellence, 2019**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

აღინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლოვა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

iwmf.submittable.com

globalinitiative.net

rockefellerfoundation.org

dropbox.com

pragueschool.media

docudays.ua

newmediawritingprize.co.uk

iaforphotoaward.org

bridgeofhope.am

worldnomads.com

openmediahub.com

nieman.harvard.edu

jsk.stanford.edu

filmmakerswithoutborders.org

www.mcgrawcenter.org

nationalgeographic.org

eyebeam.org

balkaninsight.com

rus.lsm.lv